ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 21

ქალაქი ქუთაისი 29 ივლისი 2026 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის № 9
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს**:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05.01.2018, №010250050.35.123.016412), კერძოდ, დადგენილების დანართის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ.ა“ ქვეპუნქტი:

„ვ.ა) აწვდის ინფორმაციას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ქუთაისის მიუსაფარ ცხოველთა პოპულაციის მართვის სააგენტოს“ (საიდენტიფიკაციო კოდის №412799093), მათ სამოქმედო ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან/და მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის ფაქტებზე.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 30 ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭიჭვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო • საქართველო

საქართველო ქ. ქუთაისის
ს ა ქ რ ე ბ უ ლ ო
გას. № 21
03.08.2026 წ.